

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“

ქ. ბათუმში ხელოვნური კუნძულის მშენებლობის და  
ექსპლუატაციის პროექტი

სკოპინგის ანგარიში

დანართი 3. სეისმური საშიშროების ანალიზი

**AMBASSADORI BATUMI ISLAND LLC.**

**DETAILED DESIGN OF COASTAL STRUCTURE  
AMBASSADORI BATUMI ISLAND PROJECT**

**SITE SPECIFIC SEISMIC HAZARD AND  
ANALYSIS REPORT**

**(BTM-CLI-YPJ-BRW-MS-04-107-00-C-00)**

**YÜKSEL  
PROJE**

კლიენტი/CLIENT

ხელმოწერა/Signature

შპს. ამბასადორი ბათუმი აილენდი  
AMBASSADORI BATUMI ISLAND LLC.

სანაპირო სტრუქტურის დეტალური დიზაინი  
ამბასადორი ბათუმი აილენდის პროექტისთვის  
DETAILED DESIGN OF COASTAL STRUCTURE  
AMBASSADORI BATUMI ISLAND PROJECT

დიზაინერი/DESIGNER

**YUKSEL PROJE**  
A.Ş.

ვის მიერ არის  
მომზადებული  
Prepared By

D.KARAKUŞ

ვის მიერ არის  
მომზადებული  
Prepared By

B.BAŞARAN

შემოწმებულია  
Checked By

M.ESEN

შემოწმებულია  
Checked By

H.K.CİHAN

დამტკიცებულია  
Approved By

K.ELMALI

დოკუმენტის დასახელება/Document name

უბნის სპეციფიკური სეისმური საფრთხისა  
და ანალიზის ანგარიში

SITE SPECIFIC SEISMIC HAZARD AND ANALYSIS REPORT

დოკუმენტის /Document No

პროექტის კოდი Prj.Code	კონტ. კოდი Cont. Code	ქვე კონტ. კოდი Sub.Cont.Code	ზონის კოდი Area Code	დისციპლინა Discipline	საგნის კოდი Subject Code	დოკ.N Doc.No	ფურცელი Sheet	პროექტის ეტაპი Des.Stg.	გადახედვა Revision
BTM	CLI	YPJ	BRW	MS	04	107	00	C	00

თარიღი  
Date

სექტემბერი 2022  
November 2022

მასშტაბი  
Scale

ეტაპი  
Stage

კონცეპტუალური დიზაინი/Conceptual Design

ფურცელი  
Sheet

ფურცლები  
Sheets

## სარჩევი

1. შესავალი .....	1
2. ნორმატივი და პროექტთან დაკავშირებული გრუნტის რხევის კრიტერიუმები .....	2
3. ნეოტექტონიკა .....	3
4. სეისმურობა .....	8
5. სეისმური კერის დახასიათება .....	11
5.1. მოდელი-1 (ფართობრივი ტიპის სეისმური კერის მოდელი) .....	11
5.2. მოდელი-2 (რღვევის და ფონური სეისმურობის კერა) .....	12
6. მიწისძვრის განმეორებადობა .....	13
7. გრუნტის მოძრაობის დახასიათება .....	14
8. ალბათური სეისმური საშიშროების შეფასების შედეგები .....	15
8.1. მეთოდოლოგია .....	15
8.1.1. ჰუასონის მოდელი .....	16
8.1.2. გათანაბრებული სეისმურობის მოდელი .....	16
8.2. ტერიტორიისგან დამოუკიდებელი ალბათური სეისმური საშიშროების მოდელი და შედეგები ...	17
9. რეგიონალური სეისმური საშიშროების სხვა შეფასებებთან შედარება .....	18
9.1. ESHM13 პროექტზე დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება .....	18
9.2. EMME პროექტზე დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება .....	18
9.3. SERA პროექტზე (2017-2020) დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება .....	19
9.4. ონურის და სხვ. (Onur et al) 2019 წლის კვლევაზე დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება .....	19
10. გეოტექნიკური პირობები .....	20
11. საპროექტო სპექტრი .....	21
11.1. საპროექტო ჰორიზონტალური სპექტრი .....	21
11.2. საპროექტო ვერტიკალური სპექტრი .....	22
12. სეისმური საშიშროების დეტერმინისტული შეფასება .....	23
13. მიმართულობის ეფექტი საპროექტო რეაქციის სპექტრზე .....	25
14. მიმართების (რღვევისპირა) ეფექტები საპროექტო რეაქციის სპექტრზე .....	26
15. სპექტრთან თავსებადი გრუნტის მოძრაობა .....	26
15.1. გრუნტის მოძრაობის მასშტაბის განსაზღვრა დროის ინტერვალში .....	27
15.2. სპექტრალური შესაბამისობა სიხშირის ინტერვალში .....	31
16. დასკვნები და წინადადებები .....	42
17. გამოყენებული ლიტერატურა .....	44
დანართი 1. ტერიტორიაზე დამოკიდებული ერთიანი საშიშროების სპექტრის მაჩვენებლები .....	46

## ცხრილების სარჩევი

ცხრილი 1. ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_s30 - 760-800$ მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს. ....	17
ცხრილი 2. ESHM13 მოდელი: ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_s30 - 760-800$ მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს. ....	18
ცხრილი 3. EMME2014 მოდელი: ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_s30 - 760-800$ მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს. ....	18
ცხრილი 4. ESHM20 მოდელი: ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_s30 - 760-800$ მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს. ....	19



ცხრილი 5. Onur et al. (2019) მოდელი: ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_{s30} = 760$ მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს. ....	20
ცხრილი 6. გრუნტის მოძრაობის/რხევის დეტერმინისტული პარამეტრები: ( $V_{s30} = 270$ მ/წმ, NEHRP-ს ტერიტორიის კლასი „D“). ....	24
ცხრილი 7. მაქსიმალური სპექტრალური მაჩვენებლის საშუალო თანაფარდობა ( $RotD_{100}$ ) გეომეტრიული საშუალოს ( $RotD_{50}$ ) მოთხოვნა ....	25
ცხრილი 8. 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან თავსებადი შერჩეული სეისმური ჩანაწერები. ....	27
ცხრილი 9. შერჩეული სეისმური ჩანაწერები, რომლებიც თავსებადია 475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან. ....	29
ცხრილი 10. შერჩეული სეისმური ჩანაწერები, რომლებიც თავსებადია 2475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან. ....	30
ცხრილი 11. შერჩეული სეისმური ჩანაწერები, რომლებიც გამოყენებული იქნება 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან შესატანხმებლად. ....	32
ცხრილი 12. შერჩეული სეისმური ჩანაწერები, რომლებიც გამოყენებული იქნება 475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან შესატანხმებლად. ....	36
ცხრილი 13. შერჩეული სეისმური ჩანაწერები, რომლებიც გამოყენებული იქნება 2475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან შესატანხმებლად. ....	39

## ნახაზების სარჩევი

ნახაზი 1. „ბათუმი აილენდის“ ხედები და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ....	1
ნახაზი 2. უდიდესი რეგიონალური ნეოტექტონიკური ელემენტები (თან და თაიმაზის მიხედვით, 2006 წ.) ....	4
ნახაზი 3. საქართველოს აქტიური სტრუქტურების რუკა (წერეთელი და სხვ., 2016 წ.) ....	5
ნახაზი 4. რღვევის კერები EMME პროექტის (Danciu et al, 2015) მიხედვით. ....	5
ნახაზი 5. „ბათუმი აილენდის“ (წითელი ვარსკვლავით აღნიშნული) პროექტის განთავსების რეგიონის ტექტონიკური რუკა (საქართველოს ტექტონიკური რუკის მიხედვით, გამყრელიძე და სხვ., 2013 წ.) ....	6
ნახაზი 6. აჭარის რეგიონის ტექტონიკური სქემა. წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ განთავსების ტერიტორია (ჯორჯიაშვილი და სხვ., 2016 წ.) ....	6
ნახაზი 7. სეისმური კერების ზონები (15: ფოთი-აზედათის რღვევა, 33: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო საზღვარი, 21: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილოეთ ღერძული ნაწილი, 22: აჭარა-თრიალეთის ზონის სამხრეთ ღერძული ნაწილი, 23: აჭარისწყალი-თეძამის რღვევა, 4: ცხინვალი-ყაზბეგის რღვევა). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდი“ (ქელიძე და სხვ. მიხედვით, 2015 წ.) ....	7
ნახაზი 8. ა), ბ). ნეოტექტონური ზონალურობის სქემები „ბათუმი აილენდის“ მახლობლად. წითელი ვარსკვლავებით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა (ჯორჯიაშვილი და სხვ. (2016წ) გამყრელიძე და სხვ. (1998წ) მიხედვით. ( $M_{აქს} 5$ ; AT2: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო საზღვარი, $M_{აქს} 6.5$ ; f10: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო საზღვარი, $M_{აქს} 7$ , f30: აჭარის სისტემა $M_{აქს} 5$ ) 7	7
ნახაზი 9. მიწისძვრები საქართველოში. წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა (წერეთელი და სხვ., 2016 წ.) ....	9
ნახაზი 10. 1900 წლიდან დაფიქსირებული ყველა ( $M_w 4$ -ზე მეტი) მიწისძვრის ეპიცენტრების რუკა განედურ დიაპაზონში: 40.5-დან 43.5-მდე და გრძივ დიაპაზონში: 40.0-დან 46.5-მდე. (თეთრი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა) ....	9
ნახაზი 11. ა, ბ ისტორიული (9ა, 1930-მდე) და ინსტრუმენტული (9ბ) დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული მიწისძვრები აჭარის რეგიონში (ჯორჯიაშვილი და სხვ, 2016 წ.) ....	10
ნახაზი 12. 2000 წლიდან დაფიქსირებული ყველა ( $M_w 3$ -ზე მეტი) მიწისძვრის ეპიცენტრი განედურ დიაპაზონში: 41.4 -დან 41.9 -მდე და გრძივ დიაპაზონში: 41.1 -დან 42.1-მდე. ....	10
ნახაზი 13. ფართობრივი სეისმური კერის მოდელი (წითელი ფერით აღნიშნულია აქტიური არაღრმა ქერქული კერები; ლურჯი ხაზით აღნიშნულია: ღრმა სეისმურობა) („ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა აღნიშნულია ლურჯი სამკუთხედით). ....	12

ნახაზი 14. ინდივიდუალური სეისმოგენური კერის სქემატური გამოსახულება და დახასიათება (Basili et al. 2008).....	13
ნახაზი 15. რღვევის კერის მოდელი („ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა აღნიშნულია ლურჯი სამკუთხედით) .....	13
ნახაზი 16. განმეორებადობის პარამეტრები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ტერიტორიაზე 200 კმ-იან რადიუსში.....	15
ნახაზი 17. 5%-იანი დაცხრომის ჰორიზონტალური ერთიანი საშიშროების სპექტრი 2475, 475 და 72 წლიანი განმეორებადობის პერიოდებისთვის (ტერიტორიის კლასი = NEHRP B/C საზღვარი).....	17
ნახაზი 18. გრუნტის პიკური აჩქარება (g) 476 წლიანი განმეორებადობის პერიოდისთვის, რომელიც მოპოვებულია SERA-ს პროექტიდან ( <a href="http://www.efehr.org/">http://www.efehr.org/</a> .....	19
ნახაზი 19. საპროექტო ჰორიზონტალური რეაქციის სპექტრი (ASCE-7-16).....	22
ნახაზი 20. საპროექტო ჰორიზონტალური რეაქციის სპექტრი 5%-იანი დაცხრომისას NEHRP-ს „D“ კლასის ტერიტორიისთვის .....	22
ნახაზი 21. საპროექტო ვერტიკალური სპექტრი .....	23
ნახაზი 22. პროექტზე დაფუძნებული ვერტიკალური რეაქციის სპექტრი 5%-იანი დაცხრომისას NEHRP-ს „D“ კლასის ტერიტორიისთვის .....	23
ნახაზი 23. a და b. მიწისძვრის საშიშროების დეტერმინისტული ერთიანი სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია NEHRP-ს „D“ კლასის ტერიტორიის - „ბათუმი აილენდისთვის“ (საშუალო VS30=270მ/წმ) გამოყენებულ მიწისძვრის დეტერმინისტულ სცენარებთან 1 და 2.....	24
ნახაზი 24. რღვევისპირა მაკორექტირებელი კოეფიციენტი როგორც მანძილისა და სპექტრალური პერიოდის ფუნქცია (CALTRANS-ს მიხედვით, 2019) .....	26
ნახაზი 25. შერჩეული და მასშტაბირებული 11 გრუნტის მოძრაობის ჩანაწერის სპექტრის შედარება 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან .....	28
ნახაზი 26. შერჩეული და მასშტაბირებული 11 გრუნტის მოძრაობის ვერტიკალური სპექტრი 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის შესაბამისი მიწისძვრის დონისთვის .....	28
ნახაზი 27. შერჩეული და მასშტაბირებული 11 გრუნტის მოძრაობის სპექტრის შედარება 475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის შესაბამისი მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან .....	29
ნახაზი 28. შერჩეული და მასშტაბირებული 11 გრუნტის მოძრაობის ვერტიკალური სპექტრი 475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის შესაბამისი მიწისძვრის დონისთვის .....	30
ნახაზი 29. შერჩეული და მასშტაბირებული 11 გრუნტის მოძრაობის სპექტრის შედარება 2475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის შესაბამისი მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრთან მოცემულია ნახაზზე 29 .....	31
ნახაზი 30. შერჩეული და მასშტაბირებული 11 გრუნტის მოძრაობის ვერტიკალური სპექტრი 2475 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის შესაბამისი მიწისძვრის დონისთვის .....	31
ნახაზი 31. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 279).....	33
ნახაზი 32. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 284).....	33
ნახაზი 33. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 295).....	33
ნახაზი 34. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 480).....	34
ნახაზი 35. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 493).....	34
ნახაზი 36. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 567).....	34
ნახაზი 37. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 1754).....	34
ნახაზი 38. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 4351).....	35
ნახაზი 39. შესაბამეული სპექტრის და 72 წლიანი საშუალო განმეორებადობის პერიოდის მიწისძვრის დონის საპროექტო სპექტრის შედარება (RSN 4489).....	35






## 1. შესავალი

კვლევის ამოცანას და არეალს წარმოადგენს ალბათური სეისმური საფრთხის შეფასების (PSHA) განხორციელება და პროექტთან დაკავშირებული გრუნტის მოძრაობის შეფასება ბათუმში (საქართველო) დაგეგმილი „ამბასადორი ბათუმი აილენდ“ პროექტისთვის, არსებული მონაცემთა ბაზის და უახლესი ტექნოლოგიების/მეთოდოლოგიის გამოყენებით. „ამბასადორი ბათუმი აილენდ“ პროექტის (შემდგომში ანგარიშში მოხსენიებულია როგორც „ბათუმი აილენდი“) წარმოდგენილი ხედები და გეოგრაფიული ლოკაციები მოცემულია ნახაზზე 1. ანალიზში გამოყენებული კოორდინატებია: 41.6479270 გრძ, 41.6521030 განედ. (საწყისი სიდიდე: WGS84).

**ნახაზი 1.** „ბათუმი აილენდის“ ხედები და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა



<b>YÜKSEL PROJE</b>	DETAILED DESIGN OF COASTAL STRUCTURE AMBASSADORI BATUMI ISLAND	B00
---------------------	---	-----

კვლევა იწყება რეგიონის, მათ შორის „ბათუმი აილენდის“ ტერიტორიის და მისი შემოგარენის ნეოტექტონიკური წყობის მიმოხილვით, შესწავლილი იქნება მიწისძვრის გამომწვევი აქტიური ტექტონიკური სტრუქტურები, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ „ბათუმი აილენდის“ პროექტზე. ტექტონიკური წყობის და რეგიონალური სეისმურობის თვალსაზრისით, განხილული იქნება რეგიონში არსებული საფრთხეების შესახებ გამოქვეყნებული კვლევები; ყურადღება გამახვილდება სეისმური კერების ზონების მოდელირებაზე და გრუნტის მოძრაობის პროგნოზირების მოდელზე.

შესწავლილი იქნება ადგილობრივი და რეგიონალური სეისმურობის ინსტრუმენტული კვლევები და ისტორიული სეისმურობა, რომელიც საფუძვლად დაედება მიწისძვრის საფრთხის ანალიზს.

ალბათური სეისმური საფრთხის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია კარგად არის დამკვიდრებული ლიტერატურულ წყაროებში, რომელიც არსებითად კორნელით (Cornell) (1968წ) იწყება. მეთოდი ორ დამოუკიდებელ მოდელს მოიცავს: სეისმურობის მოდელი, რომელიც აღწერს სეისმური კერების გეოგრაფიულ განაწილებას, ასევე მოდელირებულ სეისმურ კერებში სიმძლავრეების დროებით განაწილებას (სეისმური კერების დახასიათება), და გრუნტის მოძრაობის/რხევის მოდელი, რომელიც აღწერს ნებისმიერ მოცემულ უბანზე გრუნტის მოძრაობის ამპლიტუდების ეფექტს სიმძლავრის მიხედვით, კერა-უბანს შორის მანძილს, რღვევის ტიპს და ა.შ. (გრუნტის მოძრაობის დახასიათება). სეისმური კერის დახასიათების მოდელი მოიცავს გამოვლენილი სეისმური კერის რეგიონების ადგილმდებარეობას და გეომეტრიას, რომელთა სეისმურობა გამოხატული იქნება მიწისძვრის განმეორებადობის ფარდობებით.

„ბათუმი აილენდ“ პროექტში უბნის სპეციფიკური გრუნტის პირობები განხილული იქნება გრუნტის მოძრაობის დახასიათების დროს, როდესაც შესაბამისი ტერიტორიის პირობების შესახებ მონაცემები მოპოვებული იქნება არსებული გეოტექნიკური მონაცემებიდან.

სეისმური მოვლენების განმეორებადობის პროგნოზირებისთვის კვლევაში გამოყენებული იქნება მიწისძვრის განმეორებადობის პუასონის ჰომოგენური სქოლასტიკური მოდელი.

„ბათუმი აილენდის“ საპროექტო ტერიტორიაზე ალბათური სეისმური საფრთხის შეფასება მოხდება განმეორებადობის 72, 475 და 2475 წლების საშუალო პერიოდებზე გაანგარიშებით .

## 2. ნორმატივი და პროექტთან დაკავშირებული გრუნტის რხევის კრიტერიუმები

საზღვაო კონსტრუქციები მნიშვნელოვან ნაგებობებს წარმოადგენენ და მათმა დაზიანებამ შესაძლოა სერიოზული ეკონომიკური დანაკარგი გამოიწვიოს ძლიერი მიწისძვრის სახით (მაგ.: 1999 წლის ქოჯაელის მიწისძვრა, ბულანჟე და სხვ.(Boulanger at al.), 2000წ)

საერთაშორისო მასშტაბით, საზღვაო კონსტრუქციების სეისმური მდგრადობის პროექტირება ზოგადად, ხორციელდება შესაბამისი კოდექსის გამოყენებით. მათ შორის აღსანიშნავია პორტის კონსტრუქციების სეისმური პროექტირების სახელმძღვანელო მითითებები (Seismic Design Guidelines for Port Structures (PIANC 2001)), ლოს ანჯელესის პორტის სეისმური ნორმატივი (Port of Los Angeles seismic code (POLA 2004)), საზღვაო ნავთობტერმინალის საინჟინრო და ტექნომსახურების სტანდარტები (Marine Oil Terminal Engineering and Maintenance Standards (MOTEMS 2005)) და ამერიკის ინჟინერ-მშენებელთა საზოგადოება - მოლოებისა და ნავმისადგომების სეისმური დაპროექტება (American Society of Civil Engineers - Seismic Design of Piers and Wharves (ASCE 61-14, 2014)), რომლებიც საიმედო მაგალითებს წარმოადგენენ. ევროკოდი 1: კონსტრუქციებზე ზემოქმედება — ნაწილი 1-8: ზოგადი ზემოქმედება — ტალღების და დინებების ზემოქმედება სანაპირო კონსტრუქციებზე (prEN 1991-1-8) და ევროკოდი 8:

BTM-CLI-YPJ-BRW-MS-04-101-00-D-00	Detailed Design Calculation Report	2
-----------------------------------	------------------------------------	---



<b>YÜKSEL PROJE</b>	DETAILED DESIGN OF COASTAL STRUCTURE AMBASSADORI BATUMI ISLAND	B00
---------------------	---	-----

სეისმომდეგე კონსტრუქციების დაპროექტება - ნაწილი 5: საძირკვლები, დამცავი კონსტრუქციები და გეოტექნიკური ასპექტები. ასეთი კონსტრუქციების დაპროექტებისას ასევე შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას EN 1998-5:2010.

PIANC 2001 ნორმატივის მიხედვით, მიწისძვრის მოქმედების ორი დონე არის ძირითადად გამოყენებული როგორც სახელმძღვანელო საპროექტო რხევა, რომელიც შემდეგნაირად არის განსაზღვრული: დონე 1 (L1): კონსტრუქციის საექსპლუატაციო ვადაში მოსალოდნელი სეისმური რხევების დონე; დონე 2 (L2): არახშირ, იშვიათ მოვლენებთან დაკავშირებული სეისმური რხევების დონე, რომელიც ჩვეულებრივ იწვევს გრუნტის ძლიერ რყევას. დაზიანების დასაშვები ზღვარი განსაზღვრულია ობიექტების მომხმარებლების/მოსარგებლების კონკრეტული საჭიროებების მიხედვით. კონსტრუქციის დაზიანების კატეგორია პირდაპირ კავშირშია ნაგებობის ფუნქციური შესაძლებლობის აღდგენისთვის საჭირო სამუშაოების ოდენობასთან და ხშირად განიხილება, როგორც მიწისძვრით გამოწვეული პირდაპირი ზარალი/დანაკარგი. მიწისძვრის დონეების და დაზიანების დასაშვები ზღვარის სათანადოდ დადგენის შემდეგ, შესაძლებელია კონსტრუქციის საჭირო საექსპლუატაციო მახასიათებლების დადგენა შესაბამისი საექსპლუატაციო მახასიათებლის დონის გამოყენებით (ე.ი. ექსპლუატაციაზე ორიენტირებული პროექტირება).

ASCE 61-14-ის (2014) მიხედვით, მოითხოვება სეისმური მახასიათებლების ისეთი დონე, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან: „მინიმალური ზიანი“ - 50%/50 (72-წლიანი განმეორებადობის) გრუნტის რხევის პირობებში, „მართვადი და აღდგენას დაქვემდებარებული ზიანი“ 10%/50 (475-წლიანი განმეორებადობის) გრუნტის რხევის პირობებში და „სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვა“ „საპროექტო მიწისძვრის“ პირობებში, ASCE 7-16-ს თანახმად.


თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, საზღვაო საკითხთა და კომუნიკაციების სამინისტრომ გამოსცა კოდექსი თურქეთში პორტისა და ნავსადგომის ნაგებობების სეისმომდეგე დაპროექტებისთვის (ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, 2020 წლის 6 ოქტომბერი, N.31266). აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტის მიზანია „ექსპლუატაციაზე ორიენტირებული პროექტირების“ დანერგვა, სადაც ზიანი რაოდენობრივად განსაზღვრულია პლასტიკური დეფორმაციის მოთხოვნის თვალსაზრისით, რომელიც შეფასებულია მიწისძვრის დროს გრუნტის რხევის თითოეული დონის პირობებში, კონკრეტული საექსპლუატაციო მიზნებისთვის გათვლილი კონსტრუქციული შესაძლებლობების მიხედვით.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებული იქნება ზოგადი მიდგომა, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა ზემოაღნიშნული ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, გრუნტის საპროექტო სეისმური რხევის სამი დონე განისაზღვრა, 50 წელიწადში 50%, 10% და 2% -იანი გადაჭარბების ალბათობით, შესაბამისად. საექსპლუატაციო მახასიათებლები უნდა განისაზღვროს მფლობელი ინჟინრის მიერ გრუნტის სეისმური რხევების სხვადასხვა დონის პირობებისთვის.

### 3. ნეოტექტონიკა

კავკასიის რეგიონი მდებარეობს ევრაზიის, აფრიკა- არაბეთის ფილების გადაკვეთის ადგილზე, სადაც ის ქმნის ტექტონიკურად ერთ-ერთ- ყველაზე აქტიური კონვერგენციის ზონას ალპურ-ჰიმალაურ ოროგენულ სისტემაში. კონვერგენციის ფართო ზონაში დომინირებს დედამიწის ქერქის გაფართოება-შევიწროება, ასევე ნასხლეტ-ნაწევი რღვევა, რომელიც წარმოადგენს შეჯახებით გამოწვეული ტექტონიკის ნაწილს. თანი და თაიმაზის (Tan and Taymaz (2006)) ნაშრომების მიხედვით, წარმოდგენილი რღვევები მართავენ ადგილობრივ ტექტონიკურ პირობებს (ნახაზი 2).

ნახაზი 2. უდიდესი რეგიონალური ნეოტექტონიკური ელემენტები (თან და თაიმაზის მიხედვით, 2006 წ.)




საქართველოს ძირითადი მორფოლოგიური ერთეულებია კავკასიონის და მცირე კავკასიონის მთაგრები, რომლებიც ერთმანეთისაგან გაყოფილია შავი ზღვა-რიონის და მტკვარი-სამხრეთ კასპიის მთათაშუა დაბლობებით. საქართველოს და შავი ზღვა-კასპიის ზღვის რეგიონების თანამედროვე გეოდინამიკა, მთლიანობაში, განპირობებულია მისი მდებარეობით ჯერ კიდევ კონვერგირებად ევრაზიურ და აფრიკა-არაბულ ფილებს შორის. გეოდეზიური მონაცემების თანახმად კონვერგენციის სიჩქარეა 20-30 მმ/წ, რომლის დაახლოებით 2/3, როგორც ჩანს, იხარჯება მცირე კავკასიონის (სევან-აკერის) ოფიოლიტური ნაკერის სამხრეთით, უმეტესად სამხრეთ სომხეთში, ნახჩევანში, ჩდ ირანსა და აღმოსავლეთ თურქეთში. ლითოსფერული ფილების დანარჩენი ს-ჩ მიმართული შეფარდებითი გადაადგილება იხარჯება სამხრეთ კავკასიაში ქერქის დეფორმაცია-შემოკლებაზე (წერეთელი და სხვ., 2016წ).

აქტიური რღვევების სამი ძირითადი მიმართულება შეიძლება გავარჩიოთ რეგიონში: განედური (დჩდ-ასა ან დ-ა) და ორი გარდიგარდმო (ჩა-სდ და ჩდ-სა). სტრუქტურების პირველი ჯგუფი, რომელთაც აქვთ ე.წ. „კავკასიონური“ მიმართებები, წარმოდგენილია კუმშვითი სტრუქტურებით: რევერსიული რღვევებით, ტექტონიკური აშრევებით, რღვევა-განვითარებადი ნაოჭებით. გარდი-გარდმო რღვევები ასევე შეკუმშვითი სტრუქტურებია, თუმცა აქვთ რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწევური შემადგენელი.


ჭიმვითი ბუნება სუბმერიდიანული რღვევების შემთხვევაში დასტურდება ნეოგენ-მეოტხეული ინტენსიური ვულკანიზმით. ეს კავშირშია სამხრეთ საქართველოს (ჯავახეთის მაღლობი) და დიდი კავკასიონის მთაგრების ჭიმვით რღვევებთან. სამხრეთ საქართველო მოიცავს ჩა-სდ მარცხენა გვერდით ნაწევებს, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის მსგავსად.

ნახაზი 3. საქართველოს აქტიური სტრუქტურების რუკა (წერეთელი და სხვ., 2016 წ.)



EMME პროექტში (ახლო აღმოსავლეთის სეისმური საშიშროების მოდელი) (Danciu et al, 2015) შედგენილი უდიდესი რღვევები წარმოდგენილია ნახაზზე 4.


ნახაზი 4. რღვევის კერები EMME პროექტის (Danciu et al, 2015) მიხედვით



„ბათუმი აილენდის“ პროექტის განთავსების რეგიონის ტექტონიკური რუკა მოცემულია ნახაზზე 5, საქართველოს ტექტონიკური რუკის მიხედვით (გამყრელიძე და სხვ., 2013წ.).




**ნახაზი 5.** „ბათუმი აილენდის“ (წითელი ვარსკვლავით აღნიშნული) პროექტის განთავსების რეგიონის ტექტონიკური რუკა (საქართველოს ტექტონიკური რუკის მიხედვით, გამყრელიძე და სხვ., 2013 წ.)




„ბათუმი აილენდის“ ტერიტორია მდებარეობს საქართველოში, მცირე კავკასიონის რეგიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონაში; იგი შემოსაზღვრულია სტრუქტურულ-მორფოლოგიური ელემენტებით და ანტიკლინური სისტემის სახით გადაჭიმულია შავი ზღვიდან მდ.ივრის ხეობამდე. არსებული ღრმა გვერდითა რღვევები აღნიშნულ ზონას სამ ქვეზონად ყოფენ: შემადლებული ცენტრალური ქვეზონა და შედარებით დაღმავალი ჩრდილოეთ და სამხრეთ ქვეზონები. აჭარა-გურიის ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ტექტონიკურად მარტივ დასავლურ სეგმენტს (ნახაზი 6, ჯორჯიაშვილი და სხვ., 2016 წ.).

**ნახაზი 6.** აჭარის რეგიონის ტექტონიკური სქემა. წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ განთავსების ტერიტორია (ჯორჯიაშვილი და სხვ., 2016 წ.)




ჭელიძე და სხვ. (2015) მიხედვით საქართველოს სეისმური საშიშროების შეფასებაში გამოყენებულია ერთგვარი გამარტივებული რღვევის კერების ზონები; აღნიშნული ზონები „ბათუმი აილენდის“ პროექტის განთავსების რეგიონთან მიმართებაში წარმოდგენილია ნახაზზე 7. მსგავსი გამარტივებული ნეოტექტონური ზონალობის სქემები „ბათუმი აილენდის“ განთავსების ტერიტორიის მახლობლად მოცემულია ჯორჯიაშვილი და სხვ. (2016 წ) ნაშრომებში, გამყრელიძის და სხვ. მიხედვით (1998 წ) (ნახაზი 8 ა, ბ)).

**ნახაზი 7.** სეისმური კერების ზონები (15: ფოთი-აბედათის რღვევა, 33: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო საზღვარი, 21: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილოეთ ღერძული ნაწილი, 22: აჭარა-თრიალეთის ზონის სამხრეთ ღერძული ნაწილი, 23: აჭარისწყალი-თეძამის რღვევა, 4: ცხინვალი-ყაზბეგის რღვევა). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდი“ (ჭელიძე და სხვ. მიხედვით, 2015 წ)



**ნახაზი 8.** ა),ბ). ნეოტექტონური ზონალობის სქემები „ბათუმი აილენდის“ მახლობლად. წითელი ვარსკვლავებით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა (ჯორჯიაშვილი და სხვ. (2016წ) გამყრელიძე და სხვ.(1998წ) მიხედვით. (Zajr: აჭარის ზონა,  $M_{\max}$  5; AT2: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო საზღვარი,  $M_{\max}$  6.5; f10: აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო საზღვარი,  $M_{\max}$  7, f30: აჭარის სისტემა  $M_{\max}$  5)




#### 4. სეისმურობა

წარსული, ისტორიული პერიოდის განმავლობაში საქართველოში სეისმურობაზე დაკვირვების მიხედვით, დადგინდა, რომ ქვეყანა საშუალო სეისმურობით ხასიათდება. ისტორიულად და ინსტრუმენტულად დაკვირვებული ყველა ძლიერი და საშუალო მიწისძვრის კერა ( $4.5 < M_s < 7$ ) განლაგებული იყო დიდი და მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის და მთათაშორისი დაძირვების გასწვრივ (ნახაზი 9). რღვევის სიბრტყის თვალსაზრისით მიწისძვრის განაწილებამ საშუალო და ძლიერი მიწისძვრების დროს აჩვენა ძაბვის მხოლოდ სამი რეჟიმი - SS (ჰორიზონტალური გადაადგილება), T (შეცოცება), და TS (შეცოცება გადაადგილება), ხოლო სუსტ მიწისძვრებზე განხორციელებულმა დაკვირვებამ აჩვენა ძაბვის ყველა რეჟიმი. ამდენად, საშუალო და ძლიერი მიწისძვრა ასახავს რეგიონალურ ტექტონიკას. მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობები ხასიათდება უმეტესად შეცოცებებით და შეცოცება-გადაადგილებებით, ხოლო ჯავახეთის მაღლობი - ძირითადად ჰორიზონტალური გადაადგილებებით. საბოლოო ჯამში, მტკვრის ხეობის დაძირულ მონაკვეთზე მოცემულია შეცოცებები-მარჯვენა გვერდითი ჰორიზონტალური გადაადგილებები (წერეთელი და სხვ., 2016).

ყველაზე ძლიერი მოვლენების სიმძლავრე შეფასებულია როგორც 6.5-7, ხოლო მაკროსეისმური ეფექტი როგორც 8-9 MSK სკალით. უდიდესი ისტორიული სტიქიური მოვლენები დაკავშირებული იყო დიდი კავკასიონის (1742 წლის ალავერდის მიწისძვრა,  $M_s=6.8$ , 1350 წლის ლეჩხუმ-სვანეთის ძლიერი მიწისძვრა,  $M_s=7.0$ ) და მცირე კავკასიონზე ჯავახეთის ზეგნის (1088 წლის თმოგვის მიწისძვრა,  $M_s=6.5$ , 1899 წლის ახალქალაქის მიწისძვრა,  $M_s=6.3$ ) აქტიურ რღვევებთან. 1283 წლის ძლიერი მიწისძვრა,  $M_s=7.0$  როგორც ჩანს, უკავშირდება ბორჯომი-ყაზბეგის ჰორიზონტალურად გადაადგილებულ ნაწევებს. ინსტრუმენტალური პერიოდის ძლიერი მოვლენებია ( $M \geq 6$ ) 1905 წლის ტებერდას მიწისძვრა ( $M_s=6.4$ ), 1920 წლის ქართლის მიწისძვრა ( $M_s=6.2$ ), 1940 წლის ტაბაწყურის მიწისძვრა ( $M_s=6.0$ ), 1963 წლის ჩხალთის მიწისძვრა ( $M_s=6.4$ ), 1991 წლის რაჭის მიწისძვრა ( $M_s=6.9$ ) და 1992 წლის ბარისახოს მიწისძვრა ( $M_s=6.5$ ). რაჭის მიწისძვრა, რომელის 1991 წლის 29 აპრილს 09:12:48.1 GMT მოხდა დიდი კავკასიონის სამხრეთ საზღვარზე არის ყველაზე ძლიერი მიწისძვრა, რომელიც ოდესმე დაფიქსირებულა რეგიონში. მიწისძვრის შედეგად 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, დაახლოებით 60 000 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა და ათასობით კვადრატული კილომეტრის ტერიტორია დაინგრა (ჭელიძე და სხვ, 2015 წ).




**ნახაზი 9.** მიწისძვრები საქართველოში. წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა (წერეთელი და სხვ., 2016 წ.).



საქართველოს სეისმურობის შესახებ უახლესი მონაცემები მოპოვებულია საერთაშორისო სეისმოლოგიური ცენტრის (ISC) მოვლენათა კატალოგის მონაცემთა ბაზიდან. ნახაზზე 10 მოცემულია 1900 წლიდან დაფიქსირებული ყველა (Mw4) მიწისძვრის ეპიცენტრი განედურ დიაპაზონში: 40.5-დან 43.5-მდე და გრძივ დიაპაზონში: 40.0-დან 46.5-მდე.

**ნახაზი 10.** 1900 წლიდან დაფიქსირებული ყველა (Mw4-ზე მეტი) მიწისძვრის ეპიცენტრების რუკა განედურ დიაპაზონში: 40.5-დან 43.5-მდე და გრძივ დიაპაზონში: 40.0-დან 46.5-მდე. (თეთრი ვარსკვლავით აღნიშნულია „ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა)




საქართველოს აჭარის რეგიონი, სადაც დაგეგმილია „ბათუმი აილენდის“ განთავსება, არ არის სეისმურად ძალიან აქტიური. ტერიტორიის ისტორიული სეისმურობა ნაჩვენებია ნახაზზე 11ა. ტერიტორია რამდენჯერმე დაზიანდა საშუალო სიძლიერის მიწისძვრებით. ყველაზე ძლიერი




ისტორიული მოვლენა 1868 წელს თურქეთში მოხდა მაგნიტუდით 6.2. ყველაზე ძლიერი ისტორიული მოვლენა საქართველოში 1614 და 1785 წელს დაფიქსირდა, რომელთა მაგნიტუდამ 5.5. შეადგინა. აჭარის რეგიონის სეისმურობა ინსტრუმენტული დაკვირვების მიხედვით მოცემულია ნახაზზე 11ბ). ინსტრუმენტული დაკვირვების პერიოდში უდიდესი მოვლენა დაფიქსირდა 2012 წ-ს შავ ზღვაში მაგნიტუდით 6.0.

**ნახაზი 11.** ა, ბ ისტორიული (9ა, 1930-მდე) და ინსტრუმენტული (9ბ) დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული მიწისძვრები აჭარის რეგიონში (ჯორჯიაშვილი და სხვ, 2016 წ)



რადგან ადრეული პერიოდის მცირე მაგნიტუდის სიძლიერის მიწისძვრების კატალოგი მოცემული რეგიონისთვის არასრულია, რომლის მიზეზად სეისმური სადგურების არასათანადო დაფარვა სახელდება, მიზანშეწონილად მიიჩნევა „ბათუმი აილენდის“ მახლობლად ბოლო ორი ათწლეულის პერიოდის დროს მომხდარი ასეთი მიწისძვრების გამოსახვა. „ბათუმი აილენდის“ მიმდებარე ტერიტორიის სეისმურობის შესახებ უახლესი მონაცემები მოპოვებულია საერთაშორისო სეისმოლოგიური ცენტრის (ISC) მოვლენათა კატალოგის მონაცემთა ბაზიდან. ნახაზზე 12 მოცემულია 2000 წლიდან დაფიქსირებული ყველა ( $M_w3$ -ზე მეტი) მიწისძვრის ეპიცენტრი განედურ დიაპაზონში: 41.4 -დან 41.9 -მდე და გრძივ დიაპაზონში: 41.1 -დან 42.1-მდე.

**ნახაზი 12.** 2000 წლიდან დაფიქსირებული ყველა ( $M_w3$ -ზე მეტი) მიწისძვრის ეპიცენტრი განედურ დიაპაზონში: 41.4 -დან 41.9 -მდე და გრძივ დიაპაზონში: 41.1 -დან 42.1-მდე.



<b>YÜKSEL PROJE</b>	DETAILED DESIGN OF COASTAL STRUCTURE AMBASSADORI BATUMI ISLAND	B00
---------------------	---	-----

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2000 წლიდან მხოლოდ რამდენიმე მიწისძვრა ფიქსირდება მაგნიტუდით  $Mw3-Mw4$  „ბათუმი აილენდიდან 20 კმ-ში. 1900 წლიდან მხოლოდ ერთი მიწისძვრა ფიქსირდება 100 კმ მანძილზე, რომლის მაგნიტუდა  $Mw5$  შეადგენს. როგორც ჩანს, ორი ისტორიული მიწისძვრა მოხდა დახლოებით  $Mw6$  მაგნიტუდით 50-60 კმ მანძილზე.

## 5. სეისმური კერის დახასიათება

სეისმური საშიშროების შეფასების პირველი ნაპიჯი არის სეისმური კერების ზონების გამოყოფა და მათი დახასიათება. ამ მიზნით, გამოყენებული იქნება საქართველოს სეისმური კერების დახასიათება, რომელიც მოცემულია ახლო აღმოსავლეთის სეისმური მოდელირების პროექტში (EMME14). EMME14 პროექტი, რომელიც 2014 წელს OECD-ს მხარდაჭერით შეიქმნა, მიზნად ისახავდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სეისმური საშიშროების შეფასების ჰარმონიზაციას ქვეყნების საზღვრების შეზღუდვების გარეშე; აღნიშნული რეგიონი მოიცავდა სომხეთს, აზერბაიჯანს, კვიპროსს, საქართველოს, ირანს, იორდანias, ლიბანს, პაკისტანს, სირიას და თურქეთს.

სეისმური საშიშროების შეფასების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სეისმური კერების ზონების დადგენა. არსებობს სეისმური კერის ორი მოდელი, რომლებიც სეისმური კერის განსხვავებულ ტიპოლოგიებს წარმოადგენენ, ფართობრივი (ზონალური) ტიპის სეისმური კერის მოდელი და ნაპრალოვანი რღვევების კერები სივრცულად გათანაბრებულ სეისმურობასთან ერთად. თანდაყოლილი, როგორც ეპისტემიური, ასევე ალეატორული განუსაზღვრელობის გასათვალისწინებლად, კერების აღნიშნული მოდელები დაკავშირებულია ლოგიკური ხის ჩარჩოსთან. სეისმური საშიშროების მოდელის მომზადებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი საწყისი მონაცემები და მონაცემთა ბაზა (Danciu et al, 2017).

EMME14 მიწისძვრის კატალოგი (ისტორიული კატალოგი მოიცავს 2,000-ზე მეტ ჩანაწერს ჩვ.წ.აღ-მდე 2000-დან 1899წ-მდე. ინსტრუმენტული დაკვირვების კატალოგი მოიცავს პერიოდს 1900 წ-დან, რომელშიც შედის 6,102 ჩანაწერი  $Mw \geq 5$  მაგნიტუდით.


- EMME14 ნეოტექტონიკური მოდელი (შემუშავდა აქტიური ტექტონიკური ციფრული რუკა. სულ განსაზღვრულია 3,397 აქტიური რღვევის მონაკვეთი და განხორციელდა რღვევათა პარამეტრიზაცია საერთო სიგრძით 91,551 კმ.)
- EMME14 არეალი, რღვევათა კერები და ფონური მოდელები
- გრუნტის მოძრაობის პროგნოზირების განტოლებები (Ground Motion Prediction Equations (GMPEs)). შედგენილ იქნა რეგიონალური ძლიერი მოძრაობის ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზა. საცდელი მეთოდები იქნა გამოყენებული კანდიდატი GMPE-ს კლასიფიცირების დროს და რეგიონალური სეისმური საშიშროების შეფასებებში ლოგიკური ხის გამოყენებისთვის საბოლოო ნაკრების შესარჩევად.

### 5.1. მოდელი-1 (ფართობრივი ტიპის სეისმური კერის მოდელი)

ფართობრივი კერის ზონალურობის მოდელი წარმოადგენს სეისმური კერების საზღვრების დადგენის კლასიკურ მიდგომას. მისი უპირატესობა არის სიზუსტის დაცვის მოთხოვნა ზონის საზღვრების დადგენისას, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე აქტიურ რღვევას, ან შესაძლოა წარმოადგენდეს კონცენტრირებული სეისმურობის ზონას. განმეორებადობის პარამეტრების

დადგენა შეიძლება თითოეულ ზონაში მიწისძვრის მოხდენის სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით. ფართობრივი ტიპის სეისმური კერის ზონალურობის მოდელი წარმოდგენილია ნახაზზე 13.

**ნახაზი 13.** ფართობრივი სეისმური კერის მოდელი (წითელი ფერით აღნიშნულია აქტიური არაღრმა ქერქული კერები; ლურჯი ხაზით აღნიშნულია: ღრმა სეისმურობა) („ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა აღნიშნულია ლურჯი სამკუთხედით).



ფართობრივი კერის ზონალურობის მოდელი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- ტექტონიკური რეგიონალიზაცია;
- სეისმური კერის საზღვრების დადგენა აქტიური რღვევის შესახებ მონაცემთა ბაზის და პროექტისთვის მოწოდებული მიწისძვრების კატალოგის კრიტიკული განხილვის საფუძველზე.
- წყვეტის სხვადასხვა მოდელირების მიკუთვნება ინდივიდუალური კერის ზონებისთვის, ძირითადად რღვევათა პარამეტრების შეფასების, ასევე მიწისძვრის კატალოგისა და სხვა გეოლოგიური მოსაზრებების შედეგად, როგორცაა სეისმოგენური ქერქის სიღრმე.
- მიწისძვრების კატალოგის სისრულის ანალიზი;
- მიწისძვრის ინდივიდუალური კერის ზონებისთვის მიკუთვნება;
- მიწისძვრის განმეორებადობის პარამეტრების გაანგარიშება.


## 5.2. მოდელი-2 (რღვევის და ფონური სეისმურობის კერა)

რღვევის კერის მოდელირებისთვის მიღებულ იქნა DISS ფორმატი (ინდივიდუალური სეისმოგენური წყაროების მონაცემთა ბაზა, <http://diss.rm.ingv.it/diss/>; Basili et al. 2013). ნახაზზე 14 მოცემულია ინდივიდუალური სეისმოგენური კერის სქემატური გამოსახულება. რღვევის კერის მოდელი შემუშავდა აქტიურ რღვევათა დახასიათების მონაცემთა ბაზის გამოყენებით (AFCD), რომლის კლასიფიცირება მოხდა ინდივიდუალური სეისმოგენური კერის დახასიათების მიხედვით; ეს სეისმოგენური კერები განისაზღვრა გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით და მათი დახასიათება მოხდა გეომეტრიული




(მიმართება, დაქანება, სიგანე და სიღრმე), კინემატიკური (ქანობი) და სეისმოლოგიური მონაცემების სრული ნაკრებით. ნახაზზე 14 ნაჩვენებია რღვევის კერის მოდელი ზედაპირული პროექციებით.

**ნახაზი 14.** ინდივიდუალური სეისმოგენური კერის სქემატური გამოსახულება და დახასიათება (Basili et al. 2008)



მოცემულ მოდელში, სეისმური აქტივობა გაანგარიშებულია ვარაუდით, რომლის მიხედვითაც  $M > 6.0$  სიმძლავრის მიწისძვრების ზემოქმედება ხვდება 15 კმ-იან სარტყელში, რომელიც გავლებულია სეისმური კერის ხაზოვანი მოდელის პროექციით. 200 კმ-იანი მონაკვეთი, რომელიც გავლენას ახდენს საკვლევ ტერიტორიაზე, მოცემულია ნახაზზე 15 (შავი წრე).

**ნახაზი 15.** რღვევის კერის მოდელი („ბათუმი აილენდის“ ადგილმდებარეობა აღნიშნულია ლურჯი სამკუთხედით)



## 6. მიწისძვრის განმეორებადობა

მიწისძვრებისთვის ემპირიული დამოკიდებულება (გუტენბერგ-რიხტერის მოდელი, რიხტერი, 1954) არის



$$\log N = a + b M \quad (1)$$

სადაც,

N არის მიწისძვრების რაოდენობა M მაგნიტუდის ზემოთ მოცემულ რეგიონში დროის მოცემულ პერიოდში, ხოლო a და b არის რეგრესიის მუდმივები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სეისმურობის მრავალ კვლევაში და ასევე დამტკიცდა, რომ მათი გამოყენება შეიძლება მცირე სიმძლავრის მიწისძვრებთანაც. „a” კოეფიციენტი დამოკიდებულია ზონის ზომაზე და გამოყენებული ნიმუშის დროის პერიოდზე, ხოლო „b” წარმოადგენს მუდმივას, რომელიც მიიჩნევა რეგიონის მახასიათებლად.

მიწისძვრის კატალოგები ხშირად არაობიექტურია; ამის მიზეზი არის ადრეულ პერიოდში მცირე მაგნიტუდის მიწისძვრების შესახებ არასრული მონაცემების დაფიქსირება. ამდენად, განმეორებადობის დამოკიდებულების რეგიონთან მიმართებაში გამოყენებისთვის, არჩევა უნდა მოხდეს შემდეგი ვარიანტებიდან:

- (1) მოკლე ნიმუში, რომელიც მცირე მოვლენების დროს არის შესრულებული;
- (2) უფრო გრძელი ნიმუში, რომელიც უფრო ძლიერი მოვლენების დროს შესრულდა;
- (3) მონაცემთა ორი ნაკრების კომბინაცია, არასრული მონაცემების შესავსებად, რათა მიღებულ იქნას მონაცემთა ერთიანი ნაკრები.

წინამდებარე კვლევაში, ხელოვნური მონაცემთა ნაკრების სიმულირება განხორციელდა იმ პერიოდის განსაზღვრით, რომლის განმავლობაში მოხდა მოცემული სიმძლავრის ჯგუფის მონაცემების სრულად დაფიქსირება (Stepp, 1973). განმეორებადობის პარამეტრები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ტერიტორიაზე 200 კმ-იან რადიუსში, მოცემულია ნახაზზე 16.

## 7. გრუნტის მოძრაობის დახასიათება

გრუნტის მოძრაობის პროგნოზირების განტოლებები (GMPEs) გამოიყენება სხვადასხვა პერიოდში გრუნტის მოძრაობის პარამეტრების შესაფასებლად. დაცხრომის დამოკიდებულების ახლანდელი გაგება მდგომარეობს იმაში, რომ გრუნტის მოძრაობის დაცხრომის დამოკიდებულებებს შორის დიფერენცია დაკავშირებულია უფრო მასშტაბურ გეოტექტონიკურ რეჟიმებთან (როგორიცაა არაღრმა ზედაპირული (ქერქისმიერი), გაფართოების და სუბდუქციის რეჟიმი), ვიდრე პოლიტიკურ საზღვრებთან თუ გეოგრაფიულ რეგიონებთან. თანდაყოლილი ეპისტემიური განუსაზღვრელობის მართვის მიზნით, ალბათური საშიშროების შეფასებაში გამოყენებული იქნება შემდეგი GMPE მოდელები აქტიური არაღრმა ზედაპირული (ქერქისმიერი) და ღრმა სეისმურობის პირობებისთვის, შესაბამისი წონების თანხლებით.

- (a) აქტიური არაღრმა ქერქის ფენა

Abrahamson and Silva 2008- W0.25

Boorea nd Atkinson 2008- W0.25

Campbell and Bozorgnia 2008- W0.25

Chiou and Youngs 2008- W0.25

- (b) ღრმა სეისმურობა

Lin Lee 2008 SSlab- W0.50

Youngs EtAl 1997 SSlab- W0.50

ნახაზი 16. განმეორებადობის პარამეტრები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ტერიტორიაზე 200 კმ-იან რადიუსში

EMME_IDAS	AGRVAL	BGRVAL	TECTONICS	SS	NF	TF	MAXDEPTH	MMAXMAG01	MMAXMAG02	MMAXMAG03	WMAXMAG01	WMAXMAG02	WMAXMAG03	DIP	STRIKE
TURAS010	3.60	0.75	Active Shallow Crust	80	10	10	20	7.70	8.00	8.30	0.50	0.40	0.10	85	290
GEOAS059	4.00	1.05	Active Shallow Crust	50	0	50	20	6.80	7.10	7.40	0.50	0.40	0.10	35	85
GEOAS066	3.30	1.00	Active Shallow Crust	0	0	100	35	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	75	290
GEOAS068	3.90	1.00	Active Shallow Crust	30	0	70	30	6.80	7.10	7.40	0.50	0.40	0.10	50	80
GEOAS069	3.80	0.95	Active Shallow Crust	0	0	100	35	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	70	295
GEOAS072	3.70	0.87	Active Shallow Crust	0	0	100	35	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	70	295
GEOAS073	4.40	1.06	Active Shallow Crust	0	0	100	30	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	55	300
GEOAS091	4.51	1.08	Active Shallow Crust	80	0	20	30	5.20	5.40	5.80	0.60	0.30	0.10	90	130
GEOAS076	3.70	1.00	Active Shallow Crust	70	0	30	35	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	70	290
AZEAS077	4.30	1.00	Active Shallow Crust	50	0	50	35	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	80	300
AZEAS079	4.30	1.00	Active Shallow Crust	50	0	50	35	6.60	6.80	7.20	0.60	0.30	0.10	80	300
GEOAS080	2.95	0.75	Active Shallow Crust	70	0	30	30	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	70	60
GEOAS081	3.30	0.95	Active Shallow Crust	33	33	34	30	6.80	7.10	7.40	0.50	0.40	0.10	75	270
AZEAS114	3.50	1.00	Active Shallow Crust	50	0	50	35	7.40	7.70	8.00	0.50	0.40	0.10	70	310
ARMAS168	4.57	1.09	Active Shallow Crust	50	0	50	35	7.60	7.80	8.20	0.60	0.30	0.10	75	290
GEOAS173	4.18	0.98	Active Shallow Crust	0	0	100	30	7.00	7.30	7.60	0.50	0.40	0.10	60	295
TURAS178	4.30	1.00	Active Shallow Crust	50	40	10	20	6.80	7.10	7.40	0.50	0.40	0.10	90	90
ARMAS060	3.75	0.90	Active Shallow Crust	70	30	0	35	7.10	7.30	7.70	0.60	0.30	0.10	70	315
TURAS056	3.00	0.75	Active Shallow Crust	100	0	0	20	7.40	7.70	8.00	0.50	0.40	0.10	80	110
TURAS074	3.50	0.80	Active Shallow Crust	85	0	15	20	7.40	7.70	8.00	0.50	0.40	0.10	80	230
ARMAS061	4.35	1.05	Active Shallow Crust	20	60	20	35	6.50	6.80	7.10	0.60	0.30	0.10	70	300
IRNAS958	4.30	0.95	Active Shallow Crust	80	0	20	20	7.60	7.90	8.20	0.50	0.40	0.10	80	310

## 8. ალბათური სეისმური საშიშროების შეფასების შედეგები

### 8.1. მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაში საშიშროების შეფასებისას გამოყენებული სეისმო-ტექტონიკური ალბათობის მეთოდი არ ემყარება მხოლოდ ისტორიულ სეისმურ ჩანაწერებს, არამედ აერთიანებს გეოლოგიურ ცოდნას, რაც მოიცავს პალეო-სეისმური გრუნტის მოძრაობის და ნეოტექტონიკური რღვევების შესახებ მონაცემებს, და მიწისძვრის გამომწვევი მიზეზების სამეცნიერო სეისმო-ტექტონიკურ გაგებას. ამ მონაცემების გაერთიანება ხდება სეისმური კერების მოდელირების გზით. ალბათური სეისმური საშიშროების გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია კარგად არის დამკვიდრებული ლიტერატურულ წყაროებში (Cornell 1968).

მეთოდი ორ დამოუკიდებელ მოდელს მოიცავს: სეისმურობის მოდელი, რომელიც აღწერს მიწისძვრის წყაროების გეოგრაფიულ განაწილებას, ასევე მოდელირებულ სეისმურ კერებში სიმძლავრეების განაწილებას; მეორე მოდელი არის დაცხრომის მოდელი, რომელიც აღწერს ნებისმიერ მოცემულ უბანზე გრუნტის მოძრაობის ამპლიტუდების ეფექტს სიმძლავრის მიხედვით, კერა-უბანს შორის მანძილს,

სეისმური მოვლენების პროგნოზირებისთვის მრავალი მოდელი შემუშავდა. უმარტივესი სტოქასტური მოდელი მიწისძვრის შემთხვევებისთვის არის პუასონის ჰომოგენური მოდელი, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კვლევაში. მიწისძვრის შემთხვევებისთვის, აღნიშნული მოდელის მიხედვით, შემდეგი დაშვებები არის გაკეთებული:

1. მიწისძვრის შემთხვევები სივრცულად დამოუკიდებელნი არიან;
2. მიწისძვრის შემთხვევები დროებით დამოუკიდებელნი არიან;

მოვლენათა განმეორებადობის დამოკიდებულება გამოსახულია ემპირიული დამოკიდებულების საშუალებით, რომელიც პირველად გუტენბერგ-რიხტერის მიერ იყო განსაზღვრული:  $\log N = A - bM$  სადაც  $N$  არის ბიძგების რაოდენობა, რომელთა სიმძლავრე არის  $M$ -ზე მეტი ან მისი ტოლი ერთეულ დროში და ერთეულ ტერიტორიაზე (ან ერთეულ სიგრძეზე),  $a$  და  $b$  სეისმური მუდმივები მოცემული რეგიონისთვის. „ $N$ “ მაჩვენებლის მიღება, როგორც წესი, შესაძლებელია დაშვებით, რომლის მიხედვითაც „ $M$ “-ს გააჩნია ზედა და ქვედა საზღვრები  $-M1$  და  $M0$ . საერთო ალბათობის თეორემის მიხედვით, ალბათობა ერთეულ დროში, რომლის მიხედვითაც გრუნტის მოძრაობის ამპლიტუდა  $a^*$  გადაჭარბებულია, გამოისახება შემდეგნაირად (McGuire, 1993):

$$P[A > a^* \text{ in time } t] / t = \sum_i v_i \int \int G_A |_{m,r} (a^*) f_m(m) f_r(r|m) dm dr \quad (1)$$

სადაც  $P[I \leq i | m, r]$  არის ალბათობა, რომლის მიხედვითაც მაქსიმალური ზემოქმედება „ $I$ “ არის „ $i$ “-ზე ნაკლები. იმის გათვალისწინებით, რომ  $m$  და  $r$ ,  $f_m(m)$  არის ალბათური სიმკვრივის კოეფიციენტი სიმძლავრისთვის, და  $f_r(r|m)$  არის ალბათური განაწილების კოეფიციენტი მანძილისთვის,  $f_r(r|m)$  დამოკიდებულია კერის გეომეტრიულ ბუნებაზე.

### 8.1.1. პუასონის მოდელი

პუასონის მოდელში, შემდეგი მიწისძვრის მოხდენის ალბათობა არ არის დამოკიდებული წინა მიწისძვრის მოხდენის დროზე. პუასონის ჰომოგენური მოდელის მიხედვით,  $\Delta T$  დროის ინტერვალში, სეგმენტზე სულ მცირე ერთი დამახასიათებელი მიწისძვრის ალბათობის არსებობა მოცემულია შემდეგი გამოსახულებით:

$$P[N \geq 1] = e^{-R\Delta T} \quad (2)$$

სადაც,  $R$  არის მიწისძვრის წლიური სიხშირე მოცემულ მონაკვეთზე, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც:  $R = 1 /$  საშუალო განმეორებადობის ინტერვალი. მოდელი პუასონისეულია, რადგან განმეორებადობის ( $R$ ) წლიური გაანგარიშებული მაჩვენებელი არ იცვლება დროსთან ერთად.

### 8.1.2. გათანაბრებული სეისმურობის მოდელი

ფონური სეისმური აქტივობისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას სივრცულად გათანაბრებული სეისმურობის მოდელები ჰომოგენურად განაწილებულ სეისმურობასთან ერთად, იმ მიწისძვრების როლის გასათვალისწინებლად, რომლებიც არ უკავშირდებიან რომელიმე გამოვლენილ წრფივ კერას (Frankel, 1995; Frankel et al., 2000). წინამდებარე კვლევაში დაშვებულ იქნა, რომ  $M > 6$  მიწისძვრები 15 კმ-იან ბუფერულ ზონაში კეთილსაიმედოა წრფივი კერის მოდელის პროექციის მიხედვით, ხოლო სხვა მიწისძვრების აღწერა შესაძლებელია სივრცულად გათანაბრებული სეისმურობის მიდგომის გამოყენებით.

სივრცულად გათანაბრებული სეისმურობის გაანგარიშება შესრულდა 0.10x 0.10 უჯრებისთვის, USGS-ს (აშშ-ს გეოლოგიური კვლევა) მიერ შექმნილი პროგრამის „agridPC.for“ განახლებით. მოცემული მიდგომის მიხედვით, სეისმური აქტივობა ( $a$ -მაჩვენებელი), რომელიც მიიღება ვიხერტის (Wiechert (1980)) მეთოდით, განაწილებულია გაუსის კოეფიციენტის საშუალებით, უჯრების საფუძველზე მიღებული სეისმურობის სივრცული კორელაციის 50 კმ-იანი მანძილით. სიმძლავრე-წელიწადის თანაფარდობა მიღებულია თითოეული რეგიონისთვის შესრულებული სისრულის ანალიზის საშუალებით.

სეისმური აქტივობები გაანაგრიშდა b-მაჩვენებლებით და მიწისძვრის მინიმალური სიმძლავრის პარამეტრებით. სეისმური აქტივობის გაანგარიშების დროს, მიწისძვრის მაქსიმალური მაგნიტუდის ( $M_{max}$ ) სამი მაჩვენებელი და შესაბამისი წონის მაჩვენებლები აისახა a-კოეფიციენტში, რათა მომხდარიყო სეისმური სიმძლავრის განუსაზღვრელობის გათვალისწინება სეისმურ კერებში.

## 8.2. ტერიტორიისგან დამოუკიდებელი ალბათური სეისმური საშიშროების მოდელი და შედეგები


სეისმური საშიშროება რაოდენობრივად განისაზღვრება გრუნტის მოძრაობის ინტენსივობის მაჩვენებლების თვალსაზრისით: გრუნტის პიკური აჩქარება (PGA), 5%-იანი დაცხრომის სპექტრალური აჩქარება (SA) - $T=0.2$  s (SA -  $T=0.2$ s) და  $T=1.0$ s (SA -  $T=1.0$ s) განმეორებადობის სამი პერიოდისთვის: 72, 475 და 2475 წლიანი განმეორებადობა, რომელიც შეესაბამება გადაჭარბების 50%, 10% და 2%-იან ალბათობებს 50 წელიწადში NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_{s30} = 760-800$ მ/წმ), რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს.

შედეგების ცხრილებში, სპექტრალური აჩქარება,  $SS=SA(T=0.2s)$  და  $S1=SA(T=1.0s)$  მოცემულია ცხრილში 1.

**ცხრილი 1.** ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_{s30} = 760-800$  მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს.

EMME-NGA08	PGA	SA(T=0.2s)	SA(T=1.0s)
2%/50 (2475 წელი)	0.29	0.71	0.18
10%/50 (475 წელი)	0.16	0.40	0.10
50%/50 (72 წელი)	0.08	0.17	0.04

**ნახაზი 17.** 5%-იანი დაცხრომის ჰორიზონტალური ერთიანი საშიშროების სპექტრი 2475, 475 და 72 წლიანი განმეორებადობის პერიოდებისთვის (ტერიტორიის კლასი = NEHRP B/C საზღვარი)





## 9. რეგიონალური სეისმური საშიშროების სხვა შეფასებებთან შედარება

### 9.1. ESHM13 პროექტზე დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება

ევროპის და ხმელთაშუაზღვის სეისმური საშიშროების მოდელი (2013 წ.) (ESHM13) არის ევროპისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონისთვის განხორციელებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასების შედეგი. ESHM13 მოდელი შემუშავდა SHARE პროექტის ფარგლებში (Giardini et al, 2014); აღნიშნული პროექტი ევროკავშირის მიერ დაარსდა „კვლევების მეშვიდე ჩარჩო პროგრამის“ ფარგლებში (Seventh Framework Programme for Research (FP7)). SHARE პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროექტის ვებ-გვერდზე (<http://www.share-eu.org/>)

მიუხედავად იმისა, რომ გაანგარიშების წერტილი შეირჩა პროექტის გვერდის მსგავსად, EFEHR ვებ-გვერდზე (<http://www.hazard.efehr.org/>) მოცემულია მაჩვენებლები უახლოესი უჯრედიდან.

**ცხრილი 2.** ESHM13 მოდელი: ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_s30 = 760-800$  მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს.

	PGA	Sa(T=0.2s)	Sa(T=1.0s)
2%/50 (2475 წელი)	0.48 g	1.01 g	0.11 g
10%/50 (475 წელი)	0.20 g	0.44 g	0.10 g
50%/50 (72 წელი)	0.065 g	0.14 g	0.03 g

### 9.2. EMME პროექტზე დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და გლობალური სეისმური მოდელის (GEM) მხარდაჭერით, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სეისმური საშიშროების მოდელი შეიქმნა (EMME პროექტი - სეისმური მოდელი ახლო აღმოსავლეთი, <http://www.emme-gem.org/>); მოდელი მოიცავს შემდეგი ქვეყნების სეისმური საშიშროების შეფასებებს: სომხეთი, აზერბაიჯანი, კვიპროსი, საქართველო, ირანი, ერაყი, იორდანია, ლიბანი, პალესტინა, პაკისტანი, სირია და თურქეთი. თანაბრად იქნა მოპოვებული სეისმური საშიშროების მოდელები, მათ შორის მიწისძვრის კატალოგები, რუკაზე დატანილი აქტიური რღვევები, გრუნტის ძლიერი მოძრაობის მონაცემთა ბაზა, გრუნტის მოძრაობის მოდელები და გრუნტის მოძრაობის გაანგარიშებული მაჩვენებლები (Erdik et al., 2012; Giardini et al., 2016; Danciu et al., 2017; Şeşetyan et al., 2018). საპროექტო ტერიტორიისთვის მოპოვებული შედეგები მოცემულია ცხრილში 3.


**ცხრილი 3.** EMME2014 მოდელი: ტერიტორიისგან დამოუკიდებელი გრუნტის მოძრაობის შედეგები NEHRP -ს მიხედვით განსაზღვრული B/C კლასის ტერიტორიისთვის ( $V_s30 = 760-800$  მ/წმ) რომელიც წარმოადგენს საინჟინრო ფუძე-გრუნტის პირობებს.

EMME2014	PGA	SA(T=0.2s)	SA(T=1.0s)
2%/50 (2475 Years)	0.25g	0.57g	0.15g
10%/50 (475 years)	0.13g	0.28g	0.08g
50%/50 (73 years)	0.05g	0.11g	0.03g

### 9.3. SERA პროექტზე (2017-2020) დაფუძნებული ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება

ახლაბან, „Horizon 2020“ -ს მიერ დაფინანსებული პროექტი SERA-ს (ევროპის სეისმოლოგიისა და სეისმომდეგვი მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ბაზის ალიანსი) ფარგლებში, დასრულდა ევროპის სეისმური საშიშროების 2013 წლის მოდელის (ESHM20) განახლებები. ევროპის სეისმური საშიშროების 2020 წლის მოდელი (შემდგომში ESHM20), რომელიც წარმოადგენს SERA JRA3 პროექტის შედეგს, გვთავაზობს სეისმური საშიშროების შეფასების განახლებულ ვერსიას ევროპისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონისთვის. თანდაყოლილი განუსაზღვრელობების გამოსწორება სეისმური ნაპრალის პროგნოზირების დახასიათებაში ხდება კომპლექსური ლოგიკური ხის საშუალებით, რომელიც შედგება ორი ძირითადი მოდელისგან (ტოტისგან): ფართობი-წყარო/კერაზე დაფუძნებული მოდელი და რღვევისა და გათანაბრებული სეისმურობის ჰიბრიდული მოდელი (ნახაზი 24, Danciu et al, 2021).

**ნახაზი 18.** გრუნტის პიკური აჩქარება (g) 476 წლიანი განმეორებადობის პერიოდისთვის, რომელიც მოპოვებულია SERA-ს პროექტიდან (<http://www.efehr.org/>)



აღნიშნული მოდელის მიხედვით განსახილველი ტერიტორიისთვის მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 4.

